შიდაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოდის 1937 წლიდან

№17 (9.533)

18 მაისი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

თანამედროვე ტექნიკა-ფერმერებს

13 მაისს საქართველოს პარლამენტის წევრები: ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი აკაკი ბობოხიძე, დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ ლეკაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე კოტე კობახიძე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კახეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ბოტკოველი და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელები დედოფლისწყაროს სტუმრობდნენ. ისინი ადგილობრივ ფერმერებს შეხვდნენ და სიახლეების გაცნობასთან ერთად მათი პრობლემებითაც დაინტერესდნენ.

ბატონი პეტრე ცისკარიშვილის მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ბატონმა კოტე კობახიძემ აგრარულ სექტორში ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილ პროექტებზე და პროგრამებზე ისაუბრა, აღნიშნა, რომ მალე საქართველოში, ლიზინგის პროგრამით, დამატებით კიდევ შემოვა 300 ერთეული სხვადასხვა სახის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მათ შორის 50 კომბაინი, რომელსაც ერთდროულად შეეძლება სიმინდის, ხორბლის და მზესუმზირის აღება, წლის ბოლოსთვის კიდევ შემოვა 300 ერთეული ტექნიკა, სხვადასხა მისაბმელებით, მათ შორის იქნება ქვის ამკრეფი მანქანაც. შემოტანილი ტექნიკის ნაწილი დედოფლისწყაროს სერვის ცენტრსაც გადაეცემა, რაც დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის და დღის წესრიგში დააყენებს მექანიზატორთა გადამზადების საკითხს. ეს კი შესაძლებელი იქნება პროფესიული გადამზადების ცენტრებში, თუნდაც კაჭრეთის პროფესიულ სასწავლებელში, რომლის ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სხვადასხვა თანამედროვე პროფესიების და ტექნოლოგიების ათვისების შესაძლებლობას იძლევა.

დედოფლისწყაროელი ფერმერების განცხადებით, დიდი ფართობების გამო, მათთვის საკმარისი არ იქნება დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის მომსახურება. ისინი დაინტერესდნენ, შესაძლებელია თუ არა ლიზინგის პროგრამით დამოუკიდებლად სარგებლობა, ასევე, მოეხსნებათ თუ არა გადასახადი დაქარულ ნაკვეთებზე, მოეწყობა თუ არა ცხვრის გადასარეკი ტრასები, როგორი იქნება მეცხვარეობის განვითარების და საზღვარგარეთ ცხვრის ექსპორტის, მათი ვაქცინაციის, სათესლე მასალის განახლების შესაძლებლობა, ისაუბრეს ხორბლის რეალიზაციასთან შექმნილ პრობლემაზე, რადგან გადამამუშავებელ საწარმოებს თავად უწევთ დღგ-ს გადასახადის გადახდა, ამიტომ თავს იკავებენ ადგილობრივი მწარმოებლებისგან (რომლებიც გათავისუფლდნენ დღგ- გადასახადისგან) ხორბლის შესყიდვაზე.

როგორც კოტე კობახიძემ აღნიშნა, ბიზნესზე ორიენტირებულ მსხვილ ფერმერებს ყველანაირი ხელშეწყობა ექნებათ. ამჟამად, ლიზინგის პროგრამა აქვს თი ბი სი ბანკს, სალიზინგო მომსახურება აქვს საქართველოს ბანკსაც. შეუძლიათ დამოუკიდებლადაც ისარგებლონ მათი მომსახურებით. ლიზინგი საშუალებას მისცემს ფერმერებს, 5-6 წლის განმავლობაში დაფარონ ტექნიკის ღირებულება.

ცხვრის გადასარეკი ტრასების და საძოვრების აღდგენა-მოწყობის პრობლემაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაწყებული აქვს მუშაობა და სერიოზულ პროგრამებს გეგმავს მეცხვარეობის განვითარების და ქართული ცხვრის საზღვარგარეთ იმპორტირების თვალსაზრისითაც.

დაქარულ ნაკვეთებზე გადასახადის მოხსნის საკითხის გარკვევა კი ფერმერებმა პეტრე ცისკარიშვილს სთხოვეს.

დავით გარეჯი კვლავ საფრთხეშია!

"უდაბნოს მონასტრის გარეშე საქართველოს წარმოდგენა არ შეიძლება"

საქართველოს უდიდესი ტკივილი ოდითგანვე იყო დაკარგული ტერიტორიები და მათთან ერთად ისტორიული ციხე-ტაძრებიც, რომელთა მოვლაზე და მოლოცვაზე უარის თქმა ძალადობრივი მეთოდებით ხორციელდებოდა. დღეს თურქეთის კუთვნილებაა ოშკი და ზარზმა, „ბებერი ტაო“. მუდმივი ზრუნვისა და ყურადღების მიუხედავად, ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე განთავსებული ქურმუხის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაც ხშირად გამხდარა ორ სახელმწიფოს შორის დავის საგანი.ამჯერად მოძმე აზერბაიჯანელთა პრეტენზიები საქართველოს დე-ფაქტო და დე-იურე მიწასაც მისწვდა და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის წართმევით იმუქრება. სასულიერო პირების ინფორმაციით, 6 მაისის შემდეგ გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილში, კერძოდ, უდაბნოს მონასტერში აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დგანან, რომლებიც მომლოცველებს მონასტერში არ უშვებენ. მათი ცნობით, აზერბაიჯანული მხარე აცხადებს, რომ უდაბნოს მონასტერი ალბანური კულტურის ძეგლს განეკუთვნება(?!)

რამდენიმე წელია, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსს ორი ქვეყანა ითავისებს. საზღვრის დადგენის გაჭიანურების გამო აზერბაიჯანელი და ქართველი მესაზღვრეები არარსებულ საზღვარს „იცავენ“.

(გაგრძელება გვ.3)

ფიროსმანის ხელით მოხატული მარნის კარი დედოფლისწყაროში დარჩა

გვ. 8

გვ. 4

დაირეკა ბოლო ზარი

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

დავით ბაქრაძე – თელავის რეაბილიტაციის ნაწილი მომავალ წლებში გაგრძელდება

"წელს დავიწყეთ თელავის ცენტრალური ნაწილის რეკონსტრუქცია, რომელიც სექტემბერში დასრულდება. ქალაქის ნაწილის რეაბილიტაციას კი მომდევნო წლებში გავაგრძელებთ. გარდა ამისა, კახეთის ყველა რაიონში იქნება დიდი და მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები",- ეს განცხადება თელავში ვიზიტად მყოფმა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ გააკეთა.

თავდაპირველად საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელმა, მხარის გუბერნატორთან გიორგი ღვინიაშვილთან და რაიონის მაჟორიტარ დეპუტატთან ვასილ დავითაშვილთან ერთად თელავის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა, რის შემდეგაც ის თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს შეხვდა. ვიზიტის დასასრულს ბაქრაძემ თელავში ღვინის ქარხანა „კახური" დაათვალიერა.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს კახელი გლეხის დასახმარებლად.

„ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია ასეთი ტიპის მეურნეობები მუშაობდეს, ქმნიდეს სამუშაო ადგილებს და ასაქმებდეს ადამიანებს. სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს, რომ დაეხმაროს ქართულ სოფელს და ქართველ გლეხს, რათა გლეხი ეკონომიკურად უფრო წელში გამართული იყოს", - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

უნარშეზღუდულებს ტურიზმის სფეროში დაასაქმებენ

თბილისში, სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში 16 მაისს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით შეხვედრა მოეწყო, რომელიც ეძღვნება „ინკლუზიური ტურიზმის" (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა) განვითარების პერსპექტივებს საქართველოში.

ღონისძიება მიზნად ისახავს ინკლუზიური ტურიზმის პოპულარიზაციასა და ამ სფეროს მიმდინარე სიახლეების გაცნობას ფართო საზოგადოებისთვის. შეხვედრა გახსნა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მაია სიდამონიძემ, პრეზენტაციები კი წარადგინა არასამთავრობო ორგანიზაციამ "პარსა".

აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია "პარსა", უკვე 2 წელია, მუშაობს ინკლუზიური ტურიზმის განვითარებასა და პოპულარიზაციაზე საქართველოში. ამასთანავე, ორგანიზაციამ გასული წლიდან სოციალური მეწარმეობის კუთხით მოამზადა და შემდგომ დაასაქმა ხუთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა (ეტლით მოსარგებლე) ტურაგენტის პოზიციაზე. მათი მუშაობის დინამიკაზე დაკვირვებამ აჩვენა უშუალო შედეგები, რაც გამოიხატება უკვე განხორციელებული და მიმდინარე წელს დაგეგმილი ტურების რაოდენობით.

შეხვედრაზე განხილული იყო 3 ძირითადი საკითხი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ტურიზმის განვითარება საქართველოში; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმება „ინკლუზიური" ტურიზმის სექტორში; ადაპტირებული გარემო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

როგორც ცნობილია, ტურიზმის განვითარება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ არის აღიარებული, ამასთანავე, განსაკურებით მნიშვნელოვანია, საფუძველი ჩაეყაროს ინკლუზიურ ტურიზმის დანერგვის ხელშეწყობას საქართველოში, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განვითარების მაღალ საფეხურზეა და ტურისტების რაოდენობის 10%-იან ზრდას უზრუნველყოფს.

ნუგზარ წიკლაური: "ევროკავშირთან კონსულტაციებს გავაგრძელებთ"

დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასთან დაახლოების გზების მოძიების თვალსაზრისით ევროკავშირთან კონსულტაციებს გააგრძელებს.

ამის შესახებ წიკლაურმა ჟურნალისტებს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შესახებ ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების კომენტირებისას განუცხადა.

"საქართველოს ხელისუფლების სტრატეგიაში ოკუპირებულ ტერიტორებთან მიმართებაში მკაფიოდ ჩანს საქართველოს ხელისუფლების სურვილი, რომ კონტაქტები უფრო ინტენსიური იყოს. ჩვენ მივესალმებით ნებისმიერ ჩართულობას, განსაკუთრებით ევროპული საზოგადოების მხრიდან და დაველოდებით კონკრეტულ შემოთავაზებებს, თუ რა მიმართულებითაა შესაძლებელი, გადაიდგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მოქალაქეებს დანარჩენ საქართველოსთან უფრო მეტად დააკავშირებს. ამიტომ ფილიპ დიმიტროვთან კონსულტაციები გაგრძელდება და იმის მიხედვით, რა წინადადებები იქნება წარმოდგენილი, ჩვენ შევეცდებით, რომ ამ საკითხზე თანამშრომლობა გაღრმავდეს", - განაცხადა წიკლაურმა და დასძინა, რომ "მხოლოდ იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლებას საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, არ შეიძლება, იქ მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობების გზები არ ვეძებოთ".

საშემოსავლო გადასახადის შემცირების შემდეგ ფიზიკური პირი თანხებს დაზოგავს

საშემოსავლო გადასახადის შემცირების შემდეგ, ფიზიკური პირი თანხას ნებაყოფლობით დაზოგავს და აქტივების მართვის კომპანიაში განათავსებს. ამის შესახებ „საგადასახადო კოდექსში" ცვლილებების და „ნებაყოფლობით ინდივიდუალური დაზოგვის შესახებ" მთავრობის საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, მას შემდეგ, რაც 2013 წლიდან საშემოსავლო გადასახადი 20-დან 18 პროცენტამდე შემცირდება, ფიზიკურ პირს საშემოსავლო გადასახადის შემცირების შედეგად გამოთავისუფლებული ხელფასის 2 პროცენტის ახლებურად განკარგვის საშუალება ექნება.

როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი ჟურნალისტებთან განმარტავს, სურვილის შემთხვევაში, ფიზიკური პირი თანხას აქტივების მართვის კომპანიაში განათავსებს, ფონდში თანხის შეტანას კი ნებისმიერი დასაქმებული შეძლებს.

„2013 წლიდან ფიზიკურ პირს საშუალება ექნება, საშემოსავლო გადასახადიდან 2 % მომგებიან, ეკონომიკურ პროექტებში განათავსოს. 2014 წლიდან კი 2 % გარანტირებული იქნება, თუმცა ამავე დროს თუ ფიზიკური პირი დამატებით 3 %-ის დაზოგვას გადაწყვეტს, სახელმწიფო მას კიდევ 3 %-ს ჩაურიცხავს. შესაბამისად, ჯამში 2014 წლიდან დაზოგვის ფონდში ხელფასის 8 %-ის ოდენობის თანხა განთავსდება," - განმარტა ხუროშვილმა.

რაც შეეხება აქტივების მართვის კომპანიებს, რომელიც ფიზიკური პირების შენატანების მართვას უზრუნველყოფს, მისი ლიცენზირების პირობებს, ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი ბრძანება დაადგენს.

ხუროშვილი მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკის მიერ გატარებული რეფორმებისა და მათი ეფექტიანი მონიტორინგის შედეგად, საბანკო სექტორი საკმაოდ მდგრადი და მყარია, შესაბამისად, აღნიშნული კომპანიების მონიტორინგი ეროვნულმა ბანკმა უნდა განახორციელოს.

მთავრობის საპარლამენტო მდივნის განცხადებით, ადამიანებს ფონდების მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური სქემების წინასწარ გაცნობის საშუალება ექნებათ, რითაც მათთვის მომგებიანი პირობების შერჩევას შეძლებენ. ხუროშვილის მტკიცებით, კონკრეტულ ადამიანს საშუალება ექნება, ყოველდღიურ რეჟიმში, ინტერნეტის მეშვეობით ნახოს, როგორ ხორციელდება ესა თუ ის პროექტი და რა მოგება შეიძლება მოუტანოს მის დივიდენდს.

,,ინიციატივის მიზანი დამატებითი სოციალური დაცვის გარანტიის შექმნაა. ფიზიკური პირები გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, დაგროვილი თანხის გამოყენებას შეძლებენ. თანხის გატანის ვადის შესახებ ჯერ კიდევ მსჯელობა მიმდინარეობს. თუმცა, გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში გამონაკლისი დაიშვება და პირს თანხის ვადაზე ადრე გამოტანის საშუალება ექნება. ზოგადად, საშემოსავლო გადასახადს კომპანია იხდის და არა თანამშრომელი, რაც კომპანიის სახელფასო ხარჯია", - აღნიშნა ხუროშვილმა და დასძინა, რომ ინიციატივის მიზანია საშემოსავლო გადასახადის შემცირებით გამოთავისუფლებული თანხა უშუალოდ დასაქმებულს მოხმარდეს.

პედაგოგთა ექსპერიმენტულ ნაწილში გამოცდების შედეგები ცნობილია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, საბუნებისმეტყველო საგნების სერტიფიცირებული პედაგოგებისთვის ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ექსპერიმენტულ ნაწილში ბარიერი მასწავლებელთა უპრეცედენტო რაოდენობამ გადალახა და მაღალი შედეგები აჩვენა.

ბიოლოგიაში ექსპერიმენტული ნაწილი პედაგოგთა 90%-მა ჩააბარა; ფიზიკაში- 83%-მა; ქიმიაში - 74%-მა;

სამინისტროს ცნობით, გამოცდაზე პედაგოგებს ის ცოდნა მოეთხოვებოდათ, რაც აუცილებელია თანამედროვე „აინშტაინის ლაბორატორიაში" პრაქტიკული მეცადინეობების მაღალ დონეზე წარმართვისათვის.

„მასწავლებელთა სერტიფიცირების მიზანი მათი კვალიფიკაციის ამაღლება და ხელფასების ზრდაა. საბოლოოდ სერტიფიცირებული მასწავლებლების სახელფასო სქემა ასეთია: სერტიფიცირების დანამატი 75 ლარი; დამატებით ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში - 200 ლარი; ისინი, ვინც ინგლისურის და კომპიუტერის გამოცდის ჩაბარების შემდეგ საუკეთესო 25%-ში ხვდებიან, ხელფასი 1000 ლარი გაუხდებათ; პედაგოგებს კი, რომლებმაც საბუნებისმეტყველო საგნებში ლაბორატორიული გამოცდა ჩააბარეს, ხელფასი კიდევ 75 ლარით გაეზრდებათ", - აღნიშნეს სამინისტროში.

საატესტატო გამოცდები იწყება

2011-2012 სასწავლო წლის გამოსაშვები გამოცდები 21 მაისს დაიწყება. საატესტატო გამოცდების ტექნიკურ უზრუნველყოფას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ახორციელებს.

გამოსაშვები გამოცდები წელსაც CAT-ის ტიპის საგამოცდო მოდელით ჩატარდება. ამასთან დაკავშირებით, დიმიტრი შაშკინი ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სპეციალისტებს შეხვდა.

წელს პირველად, გამოცდები ახალი სქულ ბოქსებით ჩატარდება. ყველა სკოლა უკვე გამართულია ტექნიკურად და მზად არის გამოცდების ჩასატარებლად.

CAT-ის ტიპის საგამოცდო მოდელით ტესტირება მსოფლიოში კარგადაა აპრობირებული, თუმცა საქართველო პირველია, სადაც ასეთი მასშტაბური გამოცდა ერთიანი მართვისა და კონტროლის პირობებში უკვე მეორე წელია, ტარდება.

სტიქიამ გურჯაანის რაიონი დააზარალა

17 მაისს ღამით მოსულმა ძლიერმა წვიმამ გურჯაანის რაიონის სოფლები დააზარალა. ვეჯინში, ჯიმითსა და კაჭრეთში რამდენიმე საცხოვრებელი სახლის პირველი სართული და სარდაფები დაიტბორა. ადიდებულმა ხევმა კაჭრეთისა და ჯიმითის დამაკავშირებელი ხიდიც დააზიანა.

ქალაქ გურჯაანში დატბორილია შხამ-ქიმიკატების მაღაზია. სოფელ ჭანდარში დასეტყვილია ვენახები.

ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა ელექტრო გადამცემი ხაზები, რის გამოც გურჯაანის რაიონის ნაწილს ელექტროენერგია არ მიეწოდება.

„სოფელ ვეჯინსა და კაჭრეთში დაიტბორა რამდენიმე სახლი. სოფელ ნანიანში წყლის სათავე-ნაგებობა დაზიანდა. სახანძრო-სამაშველო სამსახურები მთელი ღამის განმავლობაში მობილიზებულები იყვნენ და სახლებიდან წყალს ტუმბავდნენ. ამ ეტაპზე არ გვაქვს ინფორმაცია დაიტბორა თუ არა სავარგულები. ამჟამად მიმდინარეობს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დათვლა", - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით მესხიშვილმა.

უმრავლესობის წევრები ხალხს შეხვდნენ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება. მორიგი შეხვედრა 11 მაისს ქალაქ დედოფლისწყაროს მოსახლეობასთან ახმეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა, საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა, პარლამენტის ჯანდაცვის და სოციალური საკითხთა კომიტეტის წევრმა გიორგი გოდაბრელიძემ, ლაგოდეხის მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ კაკალაშვილმა, დედოფლისწყაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა ავთანდილ ლეკაშვილმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ბაღაშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა და საკრებულოს და გამგეობის წარმომადგენლებმა გამართეს.

შეხვედრა დიალოგის ფორმატით წარიმართა. იმსჯელეს ისეთ საჭირო საკითხებზე, როგორიცაა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, დასაქმების პრობლემები და სოციალური თემები.

* * *

13 მაისს საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები: ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი აკაკი ბობოხიძე, დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ ლეკაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე კოტე კობახიძე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კახეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ბოტკოველი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი, თავმჯდომრის მოადგილე ზაზა ფიროსმანაშვილი, გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი, გამგებლის მოდგილეები ალექსანდრე ალუღიშვილი და რევაზ ქოქიაშვილი, საკრებულოს და გამგეობის წარმომადგენლები სოფლების: გამარჯვების და მირზაანის მოსახლეობას შეხვდნენ.

ბატონმა პეტრე ცისკარიშვილმა ისაუბრა სახელმწიფოს პრიორიტეტებზე: ჯანდაცვის,სადაზღვევო პროგრამებზე, განათლების რეფორმის ძირითად მიმართულებებზე, ტურიზმის განვითარების, პროფესიული გადამზადების და დასაქმების სამომავლო ხედვებზე, საკანონმდებლო სიახლეებზე. ბატონმა კოტე კობახიძემ სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ სიახლეებზე ისაუბრა და პირადად მოისმინა მოსახლეობისგან ამ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები.

კერძო პრობლემებთან დაკავშირებით მოსახლეობას შესაბამისი განმარტებები მისცეს პარლამენტარებმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

დავით გარეჯი კვლავ საფრთხეშია!

"უდაბნოს მონასტრის გარეშე საქართველოს წარმოდგენა არ შეიძლება"

(პირველი გვერდიდან)

6 მაისს მათ მონასტერი მომლოცველების "შემოტევისგანაც" დაიცვეს. ამ ფაქტმა ქართველი მორწმუნეების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ ხმაური 2006 წელს, მაშინ დაიწყო, როდესაც აზერბაიჯანულმა მხარემ მასზე პრეტენზია გამოთქვა და ხმამაღლა განაცხადა, რომ ტაძარი მოძმე ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ განცხადებას წინ უსწრებდა აზერბაიჯანში, ისტორიულ ჰერეთში მდებარე ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ალბანურ ტაძრად გამოცხადების მცდელობის ფაქტი. მაშინ ორივე ეკლესიის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენელთა ჩარევამ ჩააცხრო.თუმცა, როგორც ჩანს, დროებით...

საქართველოში საზღვრის დაცვის საკითხი მტკივნეული საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა, როცა დამოუკიდებელ სახელმწიფოს სადელიმიტაციო-სადემარკაციო სამუშაოები ჩატარებული არ ჰქონდა, აზერბაიჯანთან კი პირობითი საზღვრის ფუნქციის შესრულება მდინარეებს - ალაზანსა და იორს დაეკისრათ. არხების კალაპოტის თვითნებური შეცვლისა და საზღვრის დარღვევის ფაქტებმა საკმაოდ ხშირი ხასიათი ბოლო წლებში მიიღო. ქართველი მესაზღვრეებიც ღიად აფიქსირებდნენ შემთხვევებს, როცა მეზობელი ქვეყნის მოქალაქეები საქართველოს მიწას ხნავდნენ, ფაქტის გახმაურების შემდეგ კი გაუგებრობა მოჰყავდათ მიზეზად და ტრაქტორისტის უვიცობას აბრალებდნენ. ეთნოკონფლიქტების ესკალაციის საშიშროება რამდენჯერმე სერიოზულად შეიქმნა, თუმცა ქართულ-აზერბაიჯანული მხარის ჩარევის შემდეგ სიტუაცია გამოსწორდა. საზღვრის სადემარკაციო ორმხრივი კომისიაც შეიქმნა, რომელსაც სადავო ტერიტორიის საკითხი საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ... ფაქტი ჯიუტია, ოფიციალური საზღვრის დადგენის გაჭიანურებამ სამონასტრო კომპლექსის კუთვნილების საკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ხმაური ამჯერადაც ბერებმა და მომლოცველებმა ატეხეს. მათი აზრით, "ისტორიული ძმები" ქართული კვალის წაშლას ეკლესია-მონასტრების წართმევით იწყებენ.

ქართული მხარე მაშინვე გამოეხმაურა დავით გარეჯში შექმნილ სიტუაციას.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დავით გარეჯის უდაბნოს კომპლექსის მოლოცვა - მონახულება ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება.

„1929 წლის 18 თებერვლის დადგენილებით, საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ხაზმა გარეჯის მონაკვეთზე - ჩიჩხიტურის სერსა და ცალკე მდგარ კოშკზე გაიარა, საზღვარი წყალგამოყოფ სერზე მთა „უდაბნოზე" აღმოჩნდა. ვინაიდან ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები: უდაბნოს მონასტერი და წამებულის კომპლექსი ამ წყალგამყოფი სერის სამხრეთ კალთაზეა გამოკვეთილი, ზემოაღნიშნული, 1929 წლის დადგენილებით, აზეირბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობენ.

ტერიტორიული საკითხები საბჭოთა პერიოდში არ იდგა, რადგანაც ეს მიწები მაშინ ერთიანი ქვეყნის (სსრკ-ს) საზღვრებში იყო მოქცეული. ამ სამონასტრო კომპლექსების დათვალიერება, საქართველოს მოქალაქეებისა და სტუმრებისთვის დაბრკოლების გარეშე იყო შესაძლებელი. უკანასკნელ ხანებშიც აქ დაუბრკოლებლად ხორციელდებოდა საფიქსაციო და კვლევითი სამუშაოები.

ტერიტორიის ადგილ-მონაცვლეობისა თუ საზღვრის დემარკაციის საკითხებზე ამჟამად მუშაობს ორი სახელმწიფოს ერთობლივი კომისია. მისი მუშაობის რეჟიმისა და პერიოდულობისაგან დამოუკიდებლად, ამ ქართული ძეგლების მოლოცვა-მონახულება ტურისტებისა და მსურველთა მიერ კვლავ ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება", - ნათქვამია სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

მანამდე კი, სანამ ორმხრივი კომისია საზღვრის სადემარკაციო სამუშაოებს დაასრულებს, ორი პატრონის ხელში მოქცეული მონასტერი „კავკასიური ცარცის წრის" პერსონაჟს მაგონებს. იმედი გვაქვს, ორი ქვეყნის წარმომადგენლები ისტორიულ ძმობასაც გაითვალისწინებენ, დღევანდელ კეთილმეზობლურ დამოკიდებულებასაც და გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებენ.როგორც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემავალი დავითის ლავრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ილარიონი აცხადებს, „უდაბნოს მონასტრის გარეშე საქართველოს წარმოდგენა არ შეიძლება".

ამავე პოზიციას აფიქსირებს ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო.„დავით გარეჯის კომპლექსი სრულად არის ქართული კულტურული ძეგლი, საქართველოს საკუთრება, მთლიანად იმყოფება ჩვენს საკუთრებაში და ეს საკითხი განხილვას არ ექვემდებარება", - სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ შექმნილ ვითარებაზე კიდევ ერთი განმარტება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ რადიო "პალიტრის" ეთერში გააკეთა.

ინგა შიოლაშვილი

დაირეკა ბოლო ზარი

დედოფლისწყაროს რამდენიმე საჯარო სკოლაში ბოლო ზარი დაირეკა. 18 მაისს, ტრადიციულად, კვლავ იყო გულთბილი გამოსამშვიდობებელი სიტყვები, სინანულის ცრემლები და ბედნიერი მომავლის სურვილები. და კიდევ: თეთრი, ნახატებით აჭრელებული მაისურები, როგორც ბოლო ზარის ერთ-ერთი უცვლელი სიმბოლო.

დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაშიც დაირეკა გაკვეთილებისა და ბავშვობის დასრულების მაცნე ბოლო ზარი. მოსწავლეები ცხოვრების გზაზე გააცილეს სკოლის დირექტორმა ია ლაპიაშვილმა, კლასის დამრიგებელმა მაკა ჯანაშვილმა, პირველმა მასწავლებელმა მზია არაბულმა... სკოლის კურსდამთავრებულებმა პედაგოგებს სიურპრიზებიც მოუწყეს და "საპატიო სიგელებით" დააჯილდოვეს „ნომინანტები".

ბავშვებს წინ საკმაოდ რთული, მაგრამ საინტერესო ცხოვრება ელით. მანამდე კი ჯერ საატესტატო, შემდეგ - ეროვნული გამოცდებია. წარმატებებს და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ მათ.

როგორ და რატომ ვირჩევთ პროფესიას?!

ორიოდე წლის წინ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე წავიკითხე სტატია, სადაც პირველი საჯარო სკოლის პედაგოგის ლალი აბაშიძის ორგანიზატორობით მოსწავლეებმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად გამართეს დისკუსია, თემაზე - ,როგორ ავარიდოთ გარდატეხის ასაკის ახალგაზრდა ქუჩას",თემის ირგვლივ, როგორც სტატიიდან ამოვიკითხე, ისაუბრეს მამა ნიკოლოზმა, თვით პედაგოგებმა, მედიკოსებმა, პოლიციის უფროსმა გიორგი ბუნტურმა, ფსიქოლოგმა ბესიკ გიგოლაშვილმა და თავად წერილის ავტორმა ქალბატონმა ნაირა გოგრაშვილმა. გულწრფელად გითხრათ, მაშინ იქ გადმოცემულმა შეხვედრამ ისე მომხიბლა, რომ გამიჩნდა სურვილი, ამგვარ შეხვედრას მეც დავსწრებოდი. როდესაც ამ დღეებში ხელმძღვანელის დავალებით პირველი საჯარო სკოლის ღონისძიებას ვეწვიე, ნამდვილად არ ვიცოდი, თუ პატივი მერგებოდა და ანალოგიურ შეხვედრაზე მოვხვდებოდი. ღონისძიებას პედაგოგი ლალი აბაშიძე მართავდა, კვლავ იგივე კლასთან, ერთი განსხვავებით-ახლა ის ბავშვები უკვე მეათე კლასის მოსწავლეები არიან. ამჯერად დისკუსიის თემა გახლდათ -,,როგორ ავირჩიოთ სწორად პროფესია."თემის გასაანალიზებლად და უკეთ შესასწავლად მოსწავლეებს კვლავ იმდენად შესაშური რესპოდენტები ჰყავდათ მოწვეული, რომ ნებისმიერი გაზეთის რედაქციას ან წამყვან ჟურნალისტს შეშურდებოდა ამდენი პროფილის და პროფესიის ადამიანის ერთად თავმოყრა. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია,რომ პედაგოგი ლალი აბაშიძე, თავის მოსწავლეებთან ერთად, რაიონში სალონური საღამოების მოწყობის ავტორადაც შეიძლება ჩაითვალოს.

იმის შესახებ, თუ როგორ და რატომ ვირჩევთ პროფესიას, სტუმრად მოწვეულები იყვნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი, მისი მოადგილე ზაზა ფიროსმანაშვილი, გამგეობის ახალგაზრდულ საქმეთა, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამსახურის უფროსი გიორგი ყოჩიაშვილი,შსს სამინისტროს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს დეტექტივები ივანე ზანდარაშვილი და მიხეილ კედელაშვილი, გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ანა ბენაშვილი, სპეციალისტი ნონა გომელაური,მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესასთან ურთიერთობის სპეციალისტი ნინო მეხრიშვილი, დედოფლისწყაროს მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლე შორენა ყაველაშვილი,დედოფლისწყაროში არსებული კოლეჯის დირექტორი ციური ხუციშვილი, ფსიქოლოგი ბესიკ გიგოლაშვილი და ექიმი ლალი ალადაშვილი.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა თავად ქალბატონმა ლალი აბაშიძემ -,,აღნიშნული ღონისძიება შეეხება ორწლიან პროექტს, რომელიც ,,დუბლიორის" სახელით ხორციელდებოდა ჩემი მოსწავლეების მიერ. მინდა გითხრათ, რომ ამ ორი წლის მანძილზე ძალიან დიდი შრომა გავწიეთ იმისათვის, რომ პროექტი საზრიანი და შემეცნებითი ყოფილიყო მოსწავლეებისთვის, ვფიქრობთ, გამოგვივიდა. მოუსმინეთ თავად მოსწავლეებს".

ღონისძიების წამყვანმა მოსწავლე მარიამ გოგიშვილმა გაგვაცნო, თუ რა მასშტაბის ღონისძიებები გამართეს ამ ორი წლის მანძილზე - ,,პროექტი ,,დუბლიორი" რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა, პირველი გახლდათ, როცა ჩვენი კლასის მოსწავლეები რაიონის მოხუცთა თავშესაფარს ვეწვიეთ და ერთი დღე გავულამაზეთ მოხუცებს,მეორე ეტაპი მოიცავდა ბოდბის ინტერნატში ჩვენს სტუმრობას, სადაც ჩვენი საკუთარი ხელით მომზადებული ტკბილეული, ჩასაცმელები და წიგნები მივუტანეთ ინტერნატის აღსაზრდელებს. შემდეგ ჩვენს მიერ გაკეთებული ნივთების გამოფენა-გაყიდვა მოვაწყეთ, სადაც რაიონის ცნობილი ადამიანები მოვიწვიეთ და ხელნაკეთი ნივთები სიმბოლურ ფასად გავყიდეთ, შემოწირული თანხით სოციალურად გაჭირვებულ და უნარშეზღუდულ ბავშვებს ვეწვიეთ სახლში, დავეხმარეთ და ერთი დღე მათთან ერთად გავატარეთ. ჩავატარეთ აქცია-,, არგე შენს რაიონს" და ყოველწლიურად ვასუფთავებდით ნიკო ფიროსმანაშვილის სკვერს, ერთი დღე ბოდბის წმინდა ნინოს მონასტრის დედაოებს მივეხმარეთ ეზოს დასუფთავებაში, დავასუფთავეთ, ასევე, ,,ელიას" ტაძრის მიმდებარე და თამარის ციხის ტერიტორიები. პროექტის ფარგლებში ვიმყოფებოდით პრეზიდენტის სასახლეში, ჩავატარეთ ღონისძიებები - ,,აბა, მე დღეს ვის რა ვარგე!" და »ბოროტსა სძლია კეთილმან", რომელიც განათლების სამინისტროშიც წარვადგინეთ",- გვამცნო მარიამ გოგიშვილმა.

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა მოინახულეს ასევე რაიონის თითქმის ყველა ორგანიზაცია და ერთი დღით შეასრულეს ექიმის, ფარმაცევტის, ბაღის აღმზრდელის, პედაგოგის, პოლიციელის, საკრებულოს თანამშრომლის, სოციალური მუშაკების და სხვათა როლი.აღნიშნული ღონისძიება გათვლილი იყო იმისთვის, რომ უფროსკლასელებმა უკეთესად აირჩიონ მომავალი პროფესია, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს მათ მომავალ ცხოვრებას. სხვადასხვა ორგანიზაციების სამუშაოს

შესწავლისას მოსწავლეებმა აღმოაჩინეს ყველა პროფესიის დადებითი და უარყოფითი მხარე. ზოგი შეშინდა კიდეც, ისე, რომ ზოგიერთმა გადაიფიქრა ძველი არჩევანი, თუმცა ამან მაინც მისცა გამოცდილება, რომ პროფესიის არჩევისას სამი მთავარი კრიტერიუმია საჭირო:

1-მე მინდა ეს პროფესია.

2-მე შემიძლია ეს პროფესია.

3-მე უნდა ვიცოდე ეს პროფესია.

მომავალი პროფესიის შესახებ მოსწავლეები საინტერესო მოსაზრებებს გამოსთქვამენ: მოსწავლე მერი ქადაგიძეს გადაწყვეტილი აქვს, ტურიზმის განხრით აირჩიოს პროფესია და ამას თავისებურ ახსნასაც აძლევს, მისთვის ეს სამსახური პერსპექტიულია, გამოსაყენებელი და, რაც მთავარია, მაღალნაზღაურებადიც. გიორგი სამადაშვილს სამართალის კუთხით უნდა სწავლის გაგრძელება და სურს, რომ სასამართლო სხდომის განხილვას დაესწროს. აკაკი გონაშვილს კი არჩევანიდან არ გადაუხვევია და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ ექიმი-კარდიოლოგი გახდეს,გიორგი აფციაურს, მართალია,პოლიციელობა უნდოდა, თუმცა პოლიციის რთული რეჟიმისა და სამუშაო პირობების გაცნობამ გადააფიქრებინა ეს გადაწყვეტილება.თიკა ბულაშვილმა კი იქ შემდგარი დისკუსიის შედეგად გადაწყვეტილება მიიღო და ფსიქოლოგის პროფესია აარჩია.

მოსწავლეებში ყველაზე დიდი ინტერესი გამოინვია უკვე შემდგარი და წარმატებული პროფესიის წარმომადგენლთა საუბრებმა. ამ დისკუსიამ მრავალ სასიკეთო საქმესთან ერთად სულ სხვა კუთხით დაგვანახა თითოეული ის პირი, რომლის პროფესიის არჩევის თავისეული ახსნა აქამდე საზოგადოებისთვისაც უცხო გახლდათ.საინტერესოა, რას ყვებიან ისინი:

ნათია სიმონიშვილმა და ქეთევან გონაშვილმა, დეტალურად წარმოგვიდგინეს თავიანთი სამუშაო პროცესი და ინფორმაცია მიაწოდეს, თუ რისთვის უნდა აირჩიონ მოსწავლეებმა სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს მუშაკის პროფესია.-ჩვენთან გაჭირვების გარეშე არავინ შემოდის,ჩვენ გაჭირვებული ხალხი გვაკითხავს,ამიტომ მზად უნდა იყო მათ მოსასმენად. ჩვენი სამსახურის მთავარი მისია მათი დახმარებაა. თუ ეს მიიღწევა, ადამიანების მადლიერი სახის დანახვა ყველაზე დიდი ჯილდოა ჩვენთვის"-აცხადებენ ისინი.

,,ლიბერთი ბანკის" წარმომადგენელმა ნათია პაატაშვილმა ძალიან გასაგებად და ლაკონურად ჩამოაყალიბა ფორმულა, თუ რატომ შეიძლება აირჩიონ მოლარის პროფესია. იმისთვის კი, რომ წარმატებული თანამშრომელი გახდნენ, რამდენიმე მთავარი კრიტერიუმი დასახელა-ყურადღება, კომუნიკაცია, მოტივაცია, პასუხისმგებლობა, განათლება,საქმის სიყვარული და მოთმინება.

თავისი აზრი გამოთქვა და გულისტკივილიცკოლეჯის დირექტორმა ციური ხუციშვილმა-უმაღლეს სასწავლებელთან ერთად კარგი იქნება, თე მეორე პროფესიასაც დაეუფლებით, შესაძლოა ის უკეთ გამოიყენოთ. მაოცებს, როდესაც კოლეჯში ბუღალტრის პროფესიის შესწავლის ერთი მსურველიც არ არის, არადა ჩვენ ამ სპეციალობაზეც გვაქვს გამოცხადებული მიღება.კარგი ხელობა, შესაძლოა, უკეთესად წაგადგეთ, არც ერთი განცხადება არა გვაქვს ვეტფერშლის კუთხით. არადა, ვიცი, რაიონი ამ კადრის ნაკლებობას განიცდის." - აცხადებს ქალბატონი ციური.

მოსამართლე შორენა ყაველაშვილმა კი, მოსწავლეებს მის მიერ განვლილი გზა გააცნო და ისიც აღნიშნა, რომ ეს გახლდათ ერთ-ერთი ლამაზი დღე დედოფლისწყაროში მისი მოღვაწეობიდან, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს და პედაგოგებს. როგორც თავადვე გვითხრა, ის თავისი მოღვაწეობის მანძილზე მუშაობდა ადვოკატად, შემდეგ პროკურორად, ხოლო ამჯერად მოსამართლედ,- ,,ჩემი პროფესია იმდენად რთული გახლავთ, რომ ხშირად საკუთარ თავსაც არ ვეკუთვნი, მაგრამ თუ გეყვარებათ თქვენი პროფესია, დამერწმუნეთ, ყველაფერს დაძლევთ."-განაცხადა მოსამართლემ და მოსწავლეები იმიტირებული სასამართლო სხდომის მოსამზადებლად დაპატიჟა.

თავისთან დაპატიჟა სტუმრები ასევე საკრებულოს თავჯდომარემ ლევან ბაღაშვილმა. მან მოსწავლეებს კანონების შემუშავებაში უშუალო ჩართულობა შესთავაზა. -,,პროფესიით ეკონომისტი ვარ, 22 წლის გახლდით, როცა კენჭისყრის შედეგად ნაციონალების სიით ქალაქის საკრებულოს წევრი გავხდი. მას შემდეგ, მართალია, სამსახურში არიან პირები, რომლებისც ეკონომიკურ საკითხებში უკეთ ერკვევიან და ეს მათი საქმეა, მაგრამ ჩემს პროფესიას დღემდე ვიყენებ საქმის უკეთ გასაცნობად. დღევანდელი ჩემი სამსახური ძალიან რთული და საპასუხისმგებლოა, თუმცა პირველივე დღიდან ერთი მთავარი ფორმულით ვმოქმედებ-შეპირდე და გააკეთო."

ფსიქოლოგმა ბესიკ გიგოლაშვილმა რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე ისაუბრა და საქართველოში განათლებული ახალგაზრდების დასაქმება საზღვარგარეთის ქვეყნების დასაქმებას შეადარა. მან ახალგაზრდებს მოუწოდა ისეთი პროფესიის არჩევისკენ, რომლითაც გაყიდვად პროდუქტს შექმნიან და საკუთარი თავის რეალიზებას შეძლებენ მომავალში."არ მინდა ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ, რომ 5 ან ათი წელი ისწავლოთ და შემდეგ ინანოთ, თუ რატომ აირჩიეთ ეს პროფესია. სწორად მოქცეულა თქვენი პედაგოგი, რადგან ჯობდა, გასცნობოდით და სათავეშივე გადაგეფიქრებინათ, ვიდრე შემდეგ ეს გახდეს პრობლემური."

სიტყვით გამოვიდა და თავისი გამოცდილების ნებისმიერ დროს სწავლების მზაობა გამოთქვა ჩვენმა კოლეგამ და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ანა ბენაშვილმა.მან ჟურნალისტის პროფესიის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სირთულეებზე და მის დადებით მხარეებზე გაამახვილა ყურადღება. მოსწავლეებს ასევე ესაუბრა გიორგი ყოჩიაშვილი, მშობლის რანგში ნონა გომელაური, ექიმის რანგში - მედიკოსი ლალი ალადაშვილი.

პოლიციის სამსახურის მუშაობის პრინციპებზე ესაუბრა ბავშვებს ივანე ზანდარაშვილი-,,ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და დამნაშავესთან ბრძოლა ჩვენი უშუალო სამსახურია,რაც უამრავ დროს და ენერგიას, უამრავ გათენებულ ღამეს მოითხოვს ჩვენგან, ვისაც შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის სამსახურში სურს იმსახუროს, ამ ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს, თუმცა, ნუ შეგაშინებთ სირთულეები, პოლიციელობა ამავე დროს ძალიან საინტერესო და აზარტული პროფესიაცაა."

შეხვედრა დეკანოზი ნიკოლოზის სიტყვებმა დააგვირგვინა. მან მოსწავლეებს სიმშვიდისკენ მოუწოდა და პროფესიის არჩევის დროს მოძღვართან მისვლა და მისგან დალოცვა ურჩია .-,,როდესაც პატარა ვიყავი, არც მიფიქრია იმაზე, სამღვდელო პირი თუ გავხდებოდი.ვინმეს რომ ეთქვა, ალბათ გამეცინებოდა, რადგან მაშინ სხვა მენტალიტეტით იზრდებოდა თაობები. ვერც წარმოვიდგენდი, რომ დღეს მე ამ სახით წარვსდგებოდი თქვენს წინაშე, მაგრამ, მოვიდა ჟამი და თავად გამიჩნდა ამის სურვილი. ყველა ადამიანს თავისი შინაგანი სამყარო უნდა ჰქონდეს. ჩემი რწმენით, ყველა პროფესია კარგი და აუცილებელია და, თუკი შეიყვარებთ, ღმერთი აუცილებლად შეგეწევათ.

მე კი დავძენდი, რა პროფესიაც არ უნდა აირჩიოთ, რაც არ უნდა ბევრი ცოდნა მიიღოს ახალგაზრდამ, ნებისმიერ საჯარო სამსახურში მთავარი მოქალაქის კარგი მომსახურებაა. და კიდევ, ნებისმიერ პროფესიაში მთავარია რისკი, თავმდაბლობა, ადამიანებთან ზომიერი კომუნიკაბელურობა და მოხერხებულობა.

ლალი მეხრიშვილი

ცხოვრების ჯანსაღი წესი – ხანგრძლივი სიცოცხლის გარანტი!

„ჯანმრთელობას და თავისუფლებას ერთი საერთო თვისება აქვს, მხოლოდ მაშინ აფასებენ, როცა კარგავენ.“

ფრანგი დრამატური ა. ბეკო:

ცხოვრების ჯანსაღი წესი — ხშირად გვესმის ეს ფრაზა დღეს, აქტუალური თემაა. ამ თემას პოპულარიზაციას ქვეყნის პირველი ლედის – ქალბატონ სანდრა რულოვსიდან დაწყებული ბევრი არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაცია უწევს. სწორედ ამ თემას მიეძღვნა ღონისძიება დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაში, რომელსაც სკოლასთან ერთად ორგანიზება გაუკეთა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა. ცენტრი (დირექტორი მარიეტა გონაშვილი) მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ატარებს ცხოვრების ჯანსაღი წესისადმი მიძღნილ ლექცია-სემინარებს მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში. ასეთი საუბრები სკოლების უმრავლესობაში უკვე ჩატარდა. მას ჯანდაცვის ცენტრის ექიმი-პროფილაქტიკოსი ქეთინო ბოსტაშვილი უძღვება. სკოლებში ძალიან კმაყოფილნი არიან. ამ კუთხით ცხოვრებაში არსებული პრობლემების, სამედიცინო თვალსაზრისით მოსალოდნელი გართულებების წინ წამონევით და მათი დაძლევის გზებისა და საშუალებების მითითებით, ექიმმა ქეთინო ბოსტაშვილმა ბავშვები არა მარტო დააინტერესა, არამედ დაინაფიქრა კიდეც.

ისე მოხდა, რომ №2 საჯარო სკოლის ბიოლოგიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგებს გულნარა ღორაშვილს და რუსუდან კორკოტაშვილს ანალოგიური ღონისძიების ჩატარება ჰქონდათ მომზადებული. სწორედ ამიტომ, სკოლის ადმინისტრაციამ და ცენტრის დირექციამ, ამ ღონისძიების ერთობლივი ძალებით ჩატარება გადაწყვიტა. ღონისძიება ძალიან მრავალფეროვანი, საინტერესო და სახალისო გამოვიდა. როგორც ყოველთვის, გულნარა მასწავლებლის მიერ ჩატარებული ღონისძიებები სიახლის შეგრძნებით, საგნის ღრმა ცოდნით და გამოცდილების გამოვლენით გამოირჩევა. ასე იყო ახლაც. ბიოლოგიის კაბინეტი მაღალი კლასის მოსწავლეებმა შეავსეს. თემის ირგვლივ კი მეცხრეკლასელებმა მათ მიერ მომზადებული რეფერატების პრეზენტაცია მოაწყეს. ნატალი მაძღარაშვილმა, რუსუდან ჯორკოშვილმა, ხატია თოფალაშვილმა, ლიკა ლოლაშვილმა, ქეთინო შანშიაშვილმა, თინიკო ცისკარაულმა, ქეთი ბერიძემ, ხათუნა ცისკარაულმა და სოფო მენთეშაშვილმა საინტერესო ნამუშევრები შესთავაზეს მსმენელს. “თამბაქოს წარმოშობის ისტორია”,“თამბაქოს წევის გავლენა ორგანიზმზე”, “აქტიური და პასიური მწეველები”, “ალკოჰოლი და საზოგადოება”, “ალკოჰოლის მავნე გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე”, “ნარკოტიკი და მისი შედეგები”– ეს ის საკითხებია, რომელიც მათ გააშუქეს, თანატოლებს აუხსნეს ამ მავნე ჩვევათა შესახებ, მოუწოდეს, მისდიონ ცხოვრების ჯანსაღ წესს და გაუფრთხილდნენ ჯანმრთელობას, რომელიც სრულფასოვანი ცხოვრების გარანტია, რომ არ შევიდნენ შეცდომბაში და ამ მავნე ჩვეულებათა მიმართ გაჩენილი ცნობიმოყვარეობის დაკმაყოფილების სურვილი ჩვევაში არ გადაუვიდეთ. მკვეთრად და მკაფიოდ გამოთქმული მრავალი ლოზუნგი და მოწოდება გაისმა დარბაზში და იქ მყოფი მოზარდები ჩააფიქრა. რეფერატების მოსმენის შემდეგ დარბაზს დაურიგდა კითხვები, რომლის პასუხზეც მომხსენებლების მიერ წარმოდგენილ თემებში იყო საუბარი. სწორი პასუხის გამცემ მოსწავლეებს ილუსტრირებული ბუკლეტები გადაეცათ, სადაც სწორედ ამ მავნე ჩვევებზე და ჯანსაღი ცხოვრების წესებზეა საუბარი. ამით პედაგოგებმა შეამოწმეს, თუ როგორ უსმენდნენ მოზარდები თანატოლებს და რა დაიმახსოვრეს მათ ამ საუბრიდან. შემდეგ ეტაპზე ბავშვებს დაურიგდათ კითხვარი, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესით მცხოვრები ადამიანის კრიტერიუმებს ითვალისწინებდა. ბავშვებმა კი საკუთარი ცხოვრების წესის მიხედვით გასცეს პასუხები. გაირკვა, რომ მათი უმრავლესობა მისდევს სპორტს, სწორად გეგმავს და ანაწილებს დროს, არ ღებულობს ნარკოტიკს და ალკოჰოლს. ბოლო ორ კითხვაზე კი ბავშვების პასუხები მთლად გულწრფელი არ გახლდათ. დღევანდელი ახალგაზრდობის პრობლემა დროული დაძინება და დროული გაღვიძებაა, ხოლო კითხვაზე – ეწევი თუ არა სიგარეტს? – ყველამ ერთხმად უპასუხა - “არა”. ეს რომ ასე იყოს, ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ მოზარდების დიდი ნაწილი – არა მხოლოდ ვაჟები, გოგონებიც რომ არ ერიდებიან ამ მავნე ჩვევას, ყველამ ვიცით. სწორედ მათ გასაგონად ჩატარდა ეს ღონისძიებაც.



ძალიან შთამბეჭდავი იყო სოფო მენთეშაშვილის, ლიკა ლოლაშვილის და რუსუდან ჯორკოშვილის მიერ გამოშვებული თემატური კედლის გაზეთები, რომელიც მათივე გაფორმებული გახლდათ და ბევრ საგულისხმო ნიუანსს ეხებოდა ალკოჰოლსა, ნარკოტიკსა თუ ნიკოტინთან მიმართებაში.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო კუთხემ, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: “მინდა, მეტი ვიცოდე!” აქ, ამჯერად, ცხოვრების ჯანსაღ წესსა და ადამიანთა მავნე ჩვევებზე იყო ყურადღება გამახვილებული. ზოგადად კი, ეს კუთხე სულ იცვლება და სასაწავლო პროგრამიდან გამომდინარე, ამა თუ იმ საკითხის გავრცობას და ღრმად შესწავლას ემსახურება.

X X X

ღონისძიების მეორე ნაწილი სტუმრებს დაეთმო. ჯანდაცვის ცენტრის ექიმმა-პროფილაქტიკოსმა ქეთინო ბოსტაშვილმა დადებითად შეაფასა ბავშვების ცოდნის დონე და კმაყოფილება გამოთქვა, რომ მათი ღონისძიებები შეერთდა.

-ძალიან კმაყოფილი ვარ, თქვენ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი სიღრმისეული ცოდნის დონეზე განიხილეთ, ამით, ნაწილობრივ, ჩემი სათქმელიც თქვით, მაგრამ დარჩა თემები, რომელზეც მე გესაუბრებით. სიგარეტი, ალკოჰოლი და ნარკოტიკი ეს არის მონობაზე ნებაყოფლობითი ხელის მოწერა, ხოლო, როცა მონა ხარ, არ შეგიძლია, შეასრულო შენი ადამიანური ვალი ცხოვრებაში — იშრომო და უზრუნველყო შენი თავი და შენი ახლობლები, ვისი მოვალეპატრონობაც შენს მოვალეობაში შედის, იყო კარგი სპეციალისტი, დისციპლინირებული, მოტივირებული, უყვარდე და პატივს გცემდნენ გარშემომყოფები და არა ეცოდებოდე, არარაობად რომ არ იგრძნო თავი, რადგან შენი უნებისყოფობის და მავნე ჩვევების გამო ვერ გახდი მშობელი, ვერ დაუტოვე შენს ჯიშსა და ჯილაგს, შენს ერს შთამომავალი, თქვენ ხომ მომავალი დედები და მამები ხართ, ეს ხომ ადამიანისათვის უფლისაგან მონიჭებული უპირველესი მოვალეობაა!

ამიტომ, უნდა გვახსოვდეს, რომ ჯანმრთელობას ვერ იყიდი, მთავარია შეინარჩუნო ის. ჯანმრთელობა კი ცხოვრების ჯანსაღი წესიდან მოდის. ამისათვის საჭიროა ჯანსაღი კვება–იკვებეთ ერთიდაიგივე დროს, და ზომიერად, არ ჭამოთ ძილის წინ, ბოსტნეულით, ხილით, უპირატესობა მიანიჭეთ ჯანსაღ საკვებს. იყავით ფიზიკურად აქტიურები, დაკავდით სპორტით, გახსოვდეთ: ყოველ დღეს 10 წუთი ზოგადი ვარჯიშიც კი 6-7 - წლით ახანგრძლივებს სიცოცხლეს. ზედმიწევნით დაიცავით ***პირადი ჰიგიენა***: აუცილებელი და სავალდებულოა ხელის ხშირი დაბანა და არა მხოლოდ ჭამის წინ, რადგან ვირუსების უმრავლესობა სწორედ დაბინძურებული ხელიდან გადადის. ხშირად იყავით სუფთა ჰაერზე; - მოამზადეთ გაკვეთილები, ანდა, იკითხეთ წიგნი თქვენს ბაღში, ხის ქვეშ, გაისეირნეთ ძილის წინ 15–20 წუთი ან გამოაღეთ ფანჯარა. ხშირად გაანიავეთ საკლასო ოთახი მით უმეტეს ახლა, როცა თითქმის ყველა საჯარო სკოლა მეტალოპლასტმასის ჰაერგაუმტარი ჩარჩოებით შეიმინა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია გამოიმუშავეთ ბედნიერების ჰორმონი “ენდორფინი”, რომელიც ჩვენი ორგანიზმის “ჯარი” და “თავდაცვის სამინისტროა” ანუ გააძლიერეთ თქვენი იმუნური სისტემა, რომელიც სიყვარულს, სილაღეს და დადებით ემოციებს მოაქვს. ეცადეთ, იყოთ მშვიდი, მიმტევებელი, მოსიყვარულე. ეს დადებითი თვისებები აძლერებს იმუნიტეტს, რომელიც ჩვენს საუკუნეში დეფიციტისკენ მიდის. გისურვებთ ჯანმრთელობას, გონიერ ცხოვრებას და წარმატებებიც თავისით მოვა” — თქვა ქეთინო ექიმმა და სამომავლოდ გამოთქვა სურვილი ჰეპატიტებზე, აივ-ინფექციზე და სხვა საზოგადოებისათვის აქტუალურ თემებზე კვლავ მოამზადონ ერთობლივი ღონიძიებები.

ღონისძიებას ესწრებოდა ჯანდაცვის დეპარტამენტის და ორგანიზაცია “კურაციოს” წარმომადგენელი ნათია აბრამიშვილი, რომელმაც აღფრთოვანება ვერ დაფარა ნანახის და მოსმენილის გამო და განაცხადა:

- მე თბილისის და რეგიონების არაერთ სკოლაში დავესწარი ღონისძიებებს, მაგრამ მსგავსი რამ არსად მინახავს. უზომოდ კმაყოფილი ვარ დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის და პედაგოგების ნამუშევრებით, მისი მხატვრულ დონეზე გადმოცემით. გმადლობთ ამ სიამოვნებისთვის. თუმცა, ჩვენი დროის ერთ მნიშვნელოვან საკითხს მეც მინდა შევეხო: ზომიერად მოიხმარეთ კომპიუტერი და სწორად გამოიყენეთ ინტერნეტი. გახსოვდეთ, რომ ყველა საიტზე მოწვდილი ინფორმაცია სანდო და საიმედო არ გახლავთ. მე სურვილი მაქვს, ვითანამშრომლო თქვენთან და მოგაწოდოთ ჩამონათვალი, თუ სად, რა და როგორ მოიძიოთ.

ამ მიზნით ღონისძიების ორგანიზატორებმა და სტუმარმა კორდინატები გაცვალეს.

დამსწრეთა იმუნიტეტის გაძლიერებაზე და ბედნიერების ჰორმონის “ენდორფინის” გამომუშავებაზე “იზრუნეს” ამ სკოლის წარჩინებულმა მოსწავლეებმა დებმა ლოლაშვილებმა, რომლებმაც თემასთან მისადაგებული რამდენიმე სიმღერა შესთავაზეს დამსწრეთ და დარბაზიც აიყოლიეს.

ღონისძიება შეაჯამა და შეაფასა სკოლის დირექტორმა ია ლაპიაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა პედაგოგებს და მოსწავლეებს, სტუმრებს საინტერესოდ წარმოდგენილი თემისათვის და იმედი გამოთქვა, რომ ეს ღონიძიება ბევრ მოზარდს დააფიქრებს და სწორ გზაზე დააყენებს.

ღონისძიებამ გაამართლა დევიზი: - თუ გსურს შენს არსებობას მომავალი ჰქონდეს, არ გაეკარო სიგარეტს, ალკოჰოლს და ნარკოტიკს!

ნაირა გორაშვილი

P.S

როცა ამ თემაზე ვმუშაობდი, ერთი ძალიან არასასიამოვნო ფაქტის შესახებ გავიგე. მახსოვს ჩემი ერთი ბებია „ბურნუთს“ ყნოსავდა. ეს გასული საუკუნის 60–80-იან წლებში იყო, მაგრამ დღეს თუ კიდევ ვინმე მიმართავდა “ბურნუთს“ „გაბრუების“ და „ნეტარების“ მისაღწევად, არ მეგონა. არადა, თურმე არა მხოლოდ ხანდაზმულები, არამედ მოზარდები და ახალგაზრდებიც მრავლად ეტანებიან. რამდენადაც ვიცი, იურიდიულად მათი გაყიდვა, ისე როგორც სიგარეტის, დასჯადი არ გახლავთ, მაგრამ.. ნუ ვიზამთ ამას, ეს ხომ ჩვენი შვილების მომავალია!

ცნობისთვის: „ბურნუთი“ დაფქვილი თამბაქოა, რომლის შესუნთვისასაც ადამიანის სასუნთქი გზები უსაშველოდ ბინძურდება და მისი გაწმენდა შეუძლებელია.

- თუ ეწევით, თავი დაანებეთ წევას, თუ არ ეწევით ნუ დაიწყებთ, რადგან ჯანმრთელ სიცოცხლეზე ბედნიერება არაფერია!
- ტყემ ურჩია თამბაქოს მწეველს: – მაგ ფილტრიან სიგარეტს ჩემი გაუფილტრავი ჰაერი გერჩივნოსო.
- ფუტკარმა გაიკვირვა: – ზოგიერთისა ვერა გამიგია რა, ჩემს სამკურნალო შხამს ებუტება და თამბქოს სასიკვდილო შხამს კი ეხუტებაო.
- კიბომ დაასკვნა: - მცენარის საზრდოდ ნიადაგში სასუქი შეაქვთ, ჩემს საზრდოდ კი – ნარკოტიკიო.
- რა არის თამბაქოს მოწევაო და სიკვდილის ახლო მოწევაო.

კომპიუტერულმა ცენტრმა პირველი გამოშვება იზეიმა

იმ ფონზე, როდესაც საქართველოს სოფლებში კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებები მხოლოდ ახლა იქმნება, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შექმნილმა „კომპიუტერულმა ცენტრმა“ პირველი ნაკადი უკვე გამოუშვა. ამჯერად კურსი 36-მა მოსწავლემ დაასრულა.

დედოფლისწყაროში უფასო კომპიუტერული კურსები მიმდინარე წლის თებერვლიდან მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შენობაში ფუნქციონირებს, პროექტი სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის არის განკუთვნილი და მას არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა - ახალი იდეა“ ახორციელებს.

პროექტის ხელმძღვანელი თამარ ბაღაშვილი ამაყობს, რომ დედოფლისწყარომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ბევრად გაუსწრო და პირველი რაიონი იყო, სადაც მსგავსი განათლების უფასო კურსებმა ფუნქციონირება დაიწყო. უფრო მეტიც, ბაღაშვილი აღნიშნავს, რომ მისი ძალისხმევით 120 მოსწავლე უფასო განათლებას დედოფლისწყაროში ჯერ კიდევ 10 წლის წინ ეუფლებოდა, ეს კი მაშინ დაიწყეს, როცა კომპიუტერი სოფლებში ჯერ კიდევ უცხო ხილი იყო.

14 მაისს, დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში კომპიუტერის შემსწავლელი კურსების პირველი ნაკადის გამოსაშვები საღამო გამართა. ღონისძიებაზე მოსწავლეთა სამი ჯგუფი იყო წარმოდგენილი, რომლებიც სასურველი დღეების მიხედვით იყვნენ გადანაწილებულნი. გამოსაშვებ საღამოზე ისინი სხვადასხვა საკითხში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, აქვე კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული ვიქტორინაც გაიმართა, რომელსაც პედაგოგი და საღამოს წამყვანი მაყვალა მაძღარაშვილი წარადგენდა. შეჯიბრის შედეგად კურსდამთავრებულებმა სათანადო ცოდნა გამოამჟღავნეს, რის შემდეგაც მოსწავლეებს სამახსოვრო საჩუქრებიც გადაეცათ. აღინიშნა, რომ სულ მალე ისინი კურსების გავლის შესაბამის მოწმობას მიიღებენ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები და არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა - ახალი იდეა“-ს ხელმძღვანელი გიორგი პოპიაშვილი. მოგვიანებით, მოსწავლეებს კურსის წარმატებით დასრულება მიულოცეს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორმა მურად ოზაშვილმა და დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილე ზაზა ფიროსმანაშვილმა.

„მოგილოცავთ ამ დღეს. თავდაპირველად მეც ეს პრობლემა მქონდა, რამდენიმე წლის წინ ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტად იდგა კომპიუტერის შესწავლის პრობლემა. მაშინ ვფიქრობდი, რომ განსაკუთრებული ცოდნა შევიძინე და ასეც აღმოჩნდა, შემდეგ ძალიან გამომადგა ცხოვრებაში. ამ კურსების გავლისა და სერთიფიკატის მიღების შემდეგ პირველი ეტაპი უკვე გაიარეთ, ახლა გეძლევათ საშუალება, კონკურენციის პირობებში უპირატესობა გქონდეთ ადვილად მოიპოვოთ სამუშაო ადგილი. ბევრი შრომა გჭირდებათ, ისევ სწავლა და ბრძოლაა საჭირო,“ - განაცხადა ზაზა ფიროსმანაშვილმა.

„ძალიან ლამაზი და შთამბეჭდავი საღამო იყო, მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი განათლება და სოფლების კომპიუტერიზაცია ჩვენს ქვეყანაში პრიორიტეტული მხოლოდ ახლა ხდება. ახლახან ჩამოყალიბდა კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება. თუმცა, ჩვენმა ორგანიზაციამ, არასამთავრობო ორგანიზაციის ძალისხმევით დედოფლისწყაროში ჯერ კიდევ 10 წლის წინ დაიწყო უფასო სწავლება. მაშინ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისთვის შემოვიტანეთ კომპიუტერული ტექნიკა. შემსწავლელ კურსს კომპიუტერული ცენტრი ერქვა, ასე ჰქვია დღესაც. ამჯერად ისევ დავიწყეთ 17-დან 35 წლამდე სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის კომპიუტერის შესწავლა. ეს არის ასაკი, რომელთა სკოლაში სწავლის დროსაც კომპიუტერი პრიორიტეტული არ იყო. ამ ეტაპზე 54 მოსწავლე მოვიცავით, ივნისში-ივლისსა და აგვისტოში მეორე ნაკადი იქნება, ხოლო სექტემბერში-ოქტომბერსა და ნოემბერში მესამე სამთვიანი კურსი გაივლის პროგრამას. ჩვენთან მოსული საზოგადოება პროგრამას გულდასმით მოეკიდა, კურსი წარმატებულად დაასრულეს. თვითონაც კმაყოფილები არიან და პედაგოგებსაც გვიხარია ის, რომ რაც ქვეყანამ პრიორიტეტულ საკითხად აირჩია, ჩვენ უკვე დიდი ხნის დაწყებული გვაქვს. თითქოს მოვლენებს გავუსწარით და პროექტი წარმატებითაც ხორციელდება,“ - აღნიშნავს პროექტის ხელმძღვანელი თამარ ბაღაშვილი.

სოციალურად დაუცველი მოქალაქეები გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აცხადებენ, რომ მათთვის კომპიუტერულ კურსებზე სიარული ეკონომიური სიდუხჭირის გამო წარმოუდგენელი იყო. მათი მრავალწლიანი ოცნების ასრულება კი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისა და რაიონში შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციის ძალისხმებით მოხერხდა, რისთვისაც მათ მადლობას უხდიან.

„ყველა ჩვენგანისთვის ამ კურსის გავლა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის კომპიუტერის შემსწავლელი კურსებისთვის საჭირო ფინანსები ხელმისაწვდომი არ არის. ხშირ შემთხვევაში ასეთი კურსების გავლა დედაქალაქში წასვლას მოითხოვს, რაც ხარჯების ოდენობას კიდევ უფრო ზრდის. საკუთარი რაიონიდან გაუსვლელად და რაც ყველაზე მთავარია უსასყიდლოდ დაეუფლო დღევანდელ რეალობაში ყველაზე საჭირო ცოდნას, ეს ჩვენთვის ყველაზე საჭირო საქმე იყო და ყველა კურსდამთავრებული დარწმუნებულია, რომ აქ შეძენილ ცოდნას სასიკეთოდ გამოიყენებს, დასაქმება გაცილებით გაუადვილდებათ და შედეგად მათი ყოფითი პირობები ბევრად გაუმჯობესდება. უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ამ კეთილშობილი საქმის შედეგად მიღებული გამოცდილებით ცხოვრების შეცვლას შეძლებს,“ - აცხადებენ კურსდამთავრებულები.

როგორც იდეის ავტორები აცხადებენ, პროექტი მიმდინარე წლის ნოემბერში უნდა დასრულდეს. ის ათი თვის მანძილზე გაგრძელდება და სოციალურად დაუცველებით დაკომპლექტებული თითეული ჯგუფი სამთვიან კურსს გაივლის. ოფისი ახალი კომპიუტერული ტექნიკით და შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგებითაა აღჭურვილი. თამარ ბაღაშვილი კომპიუტერის შესწავლის მსურველ სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრებს კვლავაც ელის.

ილია მარტყოფლიშვილი

პატარა ინტელექტუალები

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დიდი ჟრიამულია. რაიონის სკოლებიდან მოუყრიათ ბავშვებს თავი. ტარდება ინტელექტუალური კონკურსი „რა? სად? როდის?“ ყველა ემზადება, ყველას სურს გამარჯვება და თავის გამოჩენა. ამჯერად მონაწილეები პატარები არიან, III-IV კლასელები.

პატარა „ნიჭიერებს“ მიესალმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ქალბატონი თამარ ბაღაშვილი. მან ისაუბრა კონკურსის მიზანზე და ბავშვებს კლასის ხელმძღვანელებთან ერთად მადლობა გადაუხადა ასეთი აქტიურობისთვის. ღონისძიების ორგანიზატორმა თამარ ცოფურიშვილმა ბავშვებს გააცნო კონკურსის პირობები. ერთმანეთს ოთხი გუნდი ერკინებოდა .

პირველი საჯარო სკოლის გუნდი „ოცნება“, მეორე საჯარო სკოლის გუნდი „რჩეული“, სოფელ ხორნაბუჯის სკოლის გუნდი „იმედი“ და კერძო სკოლა „ბენაურის“ გუნდი „მარჯვე“.

პირველი ადგილი ხორნაბუჯის სკოლის გუნდს „იმედს“ ერგო, მეორე — „ბენაურის“ სკოლის გუნდს —„მარჯვე“, მესამე ადგილი კი — მეორე საჯარო სკოლას.

მეოთხე ტური იყო ე.წ. „კაპიტნების“ ტური, რომელშიც პირველობა მეორე საჯარო სკოლის მოსწავლემ მინდია წიკლაურმა არავის დაუთმო.

პირველი, მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდები და პირველ ადგილზე გასული „კაპიტანი“ დაჯილდოვდნენ სიგელებით.

ამ პატარა ლამაზი ღონისძიებით ყველა კმაყოფილი დარჩა — გულშემატკივრებიც და მონაწილეებიც. პატარა ინტელექტუალებმა ცოდნაც გამოავლინეს და ახალი მეგობრებიც შეიძინეს. ისინი შეგვპირდნენ, რომ ყოველთვის სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას ასეთ ღონისძიებებში.

თამარ ცოფურიშვილი
პროექტის ორგანიზატორი

აქ ჩვენი ქვეყნის ისტორია ინახება

18 მაისი მუზეუმის საერთაშორისო პროფესიული დღეა. 1977 წელს მოსკოვში ჩატარებულ მუზეუმების საერთაშორისო კავშირის მეთერთმეტე გენერალურ კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება ამ პროფესიული დღის დაწესების შესახებ. 1978 წლის 18 მაისიდან ეს დღესასწაული მსოფლიოს 150 წვეყანაში აღინიშნება. ამ დღეს მუზეუმებში ეწყობა ღია კარის დღეები, სამეცნიერო კონფერენციები და სხვა ღონისძიებები. ამ დღეს მიუძღვნა კვირეული დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმმაც. კვირეულის ფარგლებში მუზეუმის თანამსრომლებმა მოახდინეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური თუ ისტორიული ძეგლების აღწერა, რომელთაც მიენიჭათ ძეგლის სტატუსი. აღწერეს აგრეთვე, მუზეუმში არსებული ანტიკვარული ნივთები, რომლებიც კულტუროლოგიური თვალსაზრისით მეტად ღირებული ექსპონატებია. მოხდა ძეგლთა სააღრიცხვო დოკუმენტების შევსება-გადასინჯვა, მუზეუმის ახალი ექსპონატებით შევსება. კვირეულის ბოლო აკორდი იყო სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც მუზეუმის თანამშრომლებმა რეფერატები წარმოადგინეს.

საინრეტესო იყო მარინა ბაგაშვილის მიერ შემოთავაზებული თემა „ქართველი ქალის კაბა“, რომელშიც ავტორმა ქალთა ქართული ჩაცმულობის, ფერთა შეხამების, ქსოვილთა სახეობის და ხარისხის, მორთულობის შესახებ ისაუბრა, გაარჩია გლეხის და მაღალი წოდების ქალთა ჩაცმულობა, რომელიც ერთმანეთისაგან მხოლოდ მასალის ხარისხით და ძვირფასი სამკაულით განსხვავდებოდა და არა ფორმა-მოყვანილობით. დაახასიათა როგორც ზედატანი ანუ კანძოლი, ასევე ქვედატანი, რომლებიც ცალკცაკლკე იკერებოდა. შეეხო სარტყელის, სახელო-ყურთმაჯების და ოქრომკერდით გულისპირების ქარგვის ხელოვნებას. ასეთი ჩაცმულობა საქართველოში დიდხანს დომინირებდა, მაგრამ დრო იცვლებოდა, ახალი საწარმოო ურთიერთობის და წარმოების კაპიტალისტური წესის დამკვიდრებამ საქართველოში თანდათან სახე უცვალა ჩაცმულობასაც. მოდაში შემოვიდა ევროპული ყაიდის ტანსაცმელი. ქალის ქართული ჩაცმულობის ცვლილება დაიწყო ფეხსაცმლიდან - ქოშები, წაღები და ფლოსტები ევროპულმა ფეხსაცმელმა ჩაანაცვლა. ქართული კაბის ქვეშ ქალებმა ჩაიცვეს კრინოლინი-ხაბარდა (მავთულებიანი ჩიხორა), შემდეგ მკვიდრდება „პრინცესა“ კაბები, ინგლისური კოსტუმები და ახალი მოდის კაბები. ასე რომ, თანდათან ხმარებიდან გამოვიდა ქალის ტრადიციული ქართული ჩაცმულობა, იგი უფრო სადა და მარტივი ფორმის ტანსაცმლით შეიცვალა. დღეს კი ქართველი ქალის ჩაცმულობა სრულიად შერწყმულია მსოფლიო სტანდარტებს და ეროვნული ტანსაცმლის ნიმუშებს მხოლოდ ფოლკლორული ანსამბლების ჩაცმულობაში ვხვდებით.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის შესახებ ისაუბრა ნინო პოპიაშვილმა. საინტერესოა, რომ ტერმინი “დროშა“ ქართულ წერილობით წყაროებში მხოლოდ მე-19 საუკუნიდან გვხვდება. მას მოიხსენიებენ რამოდენიმე ტერმინით – “დრაუჟი“, „ბაირაღი“, „ბავრაყი“. ისინი ირანული და თურქული წარმოშობისაა. დროშის ტარს „ძელი” ან „ბუნი“ ეწოდება (ირანული წარმოშობისაა და “ძირს”, „საფუძველს“ ნიშნავს), ტარზე შებმულ ტილოს კი “ალამი“ ეწოდება და არაბულიდან მომდინარეობს. არსებობდა საქართველოს სახელმწიფო, საეკლესიო და ლაშქრის დროშები. დიდმნიშვნელოვან მოვლენათა დროს (მეფედ კურთხევა, ლაშქრობა) საქართველოს სახელმწიფო სეფე-დროშა გამოჰქონდათ.

საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შემოღებულია ახალი დროშა–თეთრ ფონზე სიგრძე-საგანეზე წითელი ფერის ჯვრის სწორი ხაზები და ოთხივ კუთხივ მასში ჩახატულია პატარა ჯვრები. ასეთი იყო საქართველოს სახელმწიფო დროშა XII-XV საუკუნეებში.

რაც შეეხება გერბს, იგი უფრო უძველესი დროიდან არსებობდა. გერბები გამოისახებოდა დროშებზე, მონეტებზე, ბეჭდებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე. იარაღზე, წიგნებზე, ნაგებობებზე. გერბი გარკვეული პირის, გვარის, საზოგადეობის, სასულიერო თუ საერო ორგანიზაციის, ქალაქის, ოლქის და მთელი სახელმწიფოს მუდმივ გამოსარჩევ ნიშანს წარმოადგენს.

ორიოდე წლის წინ საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ყველა მუნიციპალიტეტს ანუ რაიონს, თავისი გერბი და დროშა ჰქონდეს. ამ მიზნით დედოფლისწყაროშიც შეიქმნა სიმბოლიკის შესარჩევი კომისია. გამოცხადდა კონკურსი და კონკურსის გამარჯვებული ირინა იაკობიშვილი 500 ლარით დაჯილდოვდა. დედოფლისწყაროს გერბის და დროშის შესახებ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე კონკურსის გამოცხადებისა და გამარჯვებული ესკიზის შესახებ ვრცლად ვწერდით და ვფიქრობთ, მათი აღწერილობა ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია.

დედოფლისწყაროს ცენტრში, თავდადებულთა მოედანზე მშენებარე მემორიალის შესახებ, რომელიც მამულისთვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას ეძღვნება, მსმენელს მარინე მახარაშვილმა უამბო. სისხლით ნაწერ ქართველთა ისტორიას 2008 წლის აგვისტოც შეემატა. ერთმორწმუნოებას ამოფარებულმა რუსეთმა ასაოხრებლად გაიმეტა ძველი, მაგრამ ურჩი მეზობლი, რომელმაც მასთან „ძმურად“ ყოფნას თავისუფლება და დამოუკიდებელობა არჩია. მთელ საქართველოსთან ერთად თავი არც დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებს დაუზოგავთ, ზოგი დაიჭრა, ზოგმა სიცოცხლე ანაცვალა.. მათი სახელების უკვდავსაყოფად ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ქალაქის ცენტრში მემორილური დაფის მოწყობა, გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც ვასილ ნასიძის ესკიზმა გაიმარჯვა. სწორედ ამ ესკიზის მიხედვით მიმდინარეობს დათქმულ ადგილზე მემორიალის მშენებლობა, რომლის გახსნაც, სავარაუდოდ, 26 მაისისათვის იგეგმება.

მუზეუმის თანამშრომლებს პროფესიული დღე მიულოცა და შემდგომში წარმატებები უსურვა ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა.

სამეცნიერო კომფერენცია, რომელსაც საკრებულოს, გამგეობის და კულტურის ცენტრის თანამშრომლები ესწრებოდნენ, საინტერესოდ ჩაიარა და ალაფურშეტით დასრულდა.

ნაირა გორაშვილი

საცირკო წარმოდგენა დედოფლისწყაროში

ბათუმიდან ჩამოსულმა მსახიობებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ორკვირიანი ტურნე 16 მაისს ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში დასკვნითი საცირკო წარმოდგენით დაასრულეს. დარბაზში სრული ანშლაგი იყო.

როგორც შოუ-ბიზნესცენტრ „სატირონის“ მსახიობთა ჯგუფ „თბილისური ღიმილის“ ხელმძღვანელმა მაია მეტრეველმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ბოლო ორი კვირის მანძილზე მათ სახალისო წარმოდგენები დედოფლისწყაროს თითქმის ყველა სოფლის საჯარო სკოლაში ჩაატარეს.

როგორც მსახიობებმა განმარტეს, ყველა წარმოდგენის დროს, სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ობოლი ბავშვებისთვის წარმოდგენაზე დასწრება ყველა სოფელში უფასო იყო. ასევე, უფასოდ დასწრების საშუალება მიეცათ მათ მშობლებსა და პედაგოგებსაც.

მაყურებელმა საოცარი ცეცხლოვანი შოუ იხილა, რამაც დარბაზში განსაკუთრებული ოვაციები გამოიწვია. ბექა ბურდულისა და ელდარ ბუცხრიკიძის მიერ შესრულებულმა „იოგამ“ მაყურებელი შოკში ჩააგდო. მოგვიანებით ეს მსახიობები ლურსმნებსა და დანებზეც დაწვნენ, ზემოდან კი დარბაზიდან გამოძახებული ბიჭუნა გაატარეს.

მრავლად იყო სხვადასხვა იუმორისტული ნომრები, შეჯიბრებები, მხიარული თამაშები, ჯამბაზები, სიმღერები, რომლებშიც ძირითადად დარბაზში დამსწრე მოზარდები იღებდნენ მონაწილეობას. ეს კი წარმოდგენას უფრო სახალისოს ხდიდა და ნომრებში თანამონაწილეობის სურვილს სულ უფრო მეტი დედოფლისწყაროელი მოზარდი გამოსთქვამდა.

წარმოდგენის დასკვნით ნაწილში წამახალისებელი გათამაშება გაიმართა. პრიზები კი ღონისძიებაზე დასასწრებ ბილეთებზე დატანილი ნომრების მიხედვით, შემთხვევითობის პრინციპით განაწილდა. საბოლოო ჯამში, 30-ზე მეტი პრიზი გათამაშდა. მაყურებელს საჩუქრად გადაეცა ბურთები, უალკოჰოლო, გამაგრილებელი სასმელი და ბალი-ბარათები.

მსახიობები დედოფლისწყაროელი მაყურებლის აქტიურობით კმაყოფილებას გამოხატავდნენ და აღნიშნავდნენ, რომ მუნიციპალიტეტმა მათ გულთბილი მასპინძლობა გაუწია:

„ათ დღეზე მეტია, ჩვენ დედოფლისწყაროში ვიმყოფებით, ქვემო ქედის გარდა ყველა სოფლის სკოლაში გავმართეთ საცირკო წარმოდგენები. ძალიან კარგი ხალხი ცხოვრობს დედოფლისწყაროში. აქ მართლაც არაჩვეულებრივად კარგი გარემო დაგვხვდა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორს ვანო შანშიაშვილს, რომელმაც თბილად მიგვიღო. ამას გარდა, დარბაზის დაქირავებაში მნიშვნელოვანი შეღავათი გაგვიწიეს, რაც ჩვენი ორგანიზაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ფინანსურად არცთუ წელში გამართული ცენტრი გვაქვს. თვენახევარზე მეტია, წარმოდგენები კახეთის სხვადასხვა რაიონებსა და სოფლებში ტარდება. ქვეყნის მასშტაბით მოვყვებით და ყველგან ვახალისებთ პატარებს. ეს გუნდი უკვე 15 წელია ამ სფეროში მუშაობს და მთელი ქვეყნის მასშტაბით მოგზაურობს. სამომავლოდ ბევრ სიახლეს და ახალ ნომერს ვგეგმავთ. არსებულ პროგრამას განვაახლებთ და ახალი შემადგენლობითა და საინტერესო ნომრებით დედოფლისწყაროს კვლავაც ვეწვევით, რადგან აქაურობა ძალიან მოგვეწონა,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ საღამოს წამყვანმა, ჯგუფის ხელმძღვანელმა მაია მეტრეველმა.

წინასწარი ინფორმაციით, მსახიობები გადახალისებული პროგრამით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე, სავარაუდოდ სექტემბრის ბოლოსთვის ეწვევიან.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიული ანსამბლი „შირაქის“ აღსაზრდელები და მათი მშობლები თანაგრძნობას უცხადებენ ანსამბლის ხელმძღვანელს ალექსანდრე გაბრიელაშვილს დედის

იზა გაბრიელაშვილის

გარდაცვალების გამო.

ფიროსმანის ხელით მოხატული მარნის კარი დედოფლისწყაროში დარჩა

ფასდაუდებელი საჩუქარი მუზეუმს მუზეუმების საერთაშორისო დღეს

სადაო მარნის კარი, რომელზეც ფიროსმანის წარწერა აღმოჩნდა, ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმს უსასყიდლოდ გადაეცა. ამის შესახებ ხირსის სტეფანე ხირსელის სახელობის ტაძრის მოძღვარმა მამა ლაზარემ, სოფელ მირზაანში სტუმრობისას, მუზეუმის მმართველს თავად აცნობა. სასულიერო პირი მხატვრის ეზოს მარნის კარის ამჟამინდელ მეპატრონესთან ვანო ქვრივიშვილთან ერთად ეწვია. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის უნებლიე მომსწრე ექსკლუზიურად გაზეთი „შირაქი“ გახდა.

როგორც მამა ლაზარემ აღნიშნა, მისმა სულიერმა შვილმა, კარის მფლობელმა ვანო ქვრივიშვილმა სურვილი გამოთქვა ნიკალას ნამუშევარი მუზეუმს შესწიროს.

„ივანე ძალიან კარგი ადამიანია, სულით და გულით ქართველი, რწმენით - ქრისტიანი. კეთილი, პატიოსანი ახალგაზრდაა. აქედან გამომდინარეა, რომ მან ასეთი სასიკეთო და საშვილიშვილო გადაწყვეტილება მიიღო,“ - აღნიშნა მამა ლაზარემ.

სოფელ ბოდბისხევში მცხოვრები ვანო ქვრივიშვილი განმარტავს, რომ ამჟამად სასამართლო პროცესი მიდის, თუმცა,როგორც ყველაფერი დასრულდება, მარნის კარს მაშინვე მუზეუმს შესწირავს და შესაბამის დოკუმენტებსაც გააფორმებს.

მუზეუმის ახლადდანიშნულმა მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა მადლობა გადაუხადა მამა ლაზარესა და კარის მეპატრონეს და აღნიშნა, რომ ფიროსმანის მუზეუმისთვის ეს ფასდაუდებელი საჩუქარია. მისი თქმით, სასიხარულოა, რომ მეპატრონემ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და ნიკალას მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუში მუზეუმს გადაეცემა.

„ნიკალას ეზოში გვაქვს მარანი და, ვფიქრობ, რომ ამ კარს, ან მის ასლს აქ დავკიდებთ. ძალიან დასაფასებელია, როგორც მამა ლაზარეს ღვაწლი ამ საქმეში, ისე მეპატრონის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რადგანაც ამ ნამუშევრის დაბრუნების შემდეგ მირზაანში ტურისტების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამის ვარაუდის საფუძველს კი ის ფაქტი გვაძლევს, რომ ხსენებული მარნის კარის მიმართ საზოგადოებაში დაინტერესება დიდია,“ - განუცხადა „შირაქს“ ნელი გობეჯიშვილმა.

სოფელ ოზაანში პარმენ ოზაშვილის მარნის კარზე ფიროსმანისეული წარწერა გაზეთმა „შირაქმა“ გაცილებით ადრე, 2003 წელს აღმოაჩინა. 2010 წლის ივნისში კი სახლი ქვრივიშვილებმა იყიდეს. მოგვიანებით, ექსპერტიზის დასკვნის შედეგად, დადასტურდა, რომ წარწერა ნამდვილად ნიკო ფიროსმანს ეკუთვნოდა. ბოლო დროს ნამუშევარი 17 000 დოლარად იყიდებოდა.

მარნის კარზე მთვარე და ვარსკვლავებია დახატული და შემორჩენილია სიტყვები: „წითელი ღვინის მარანი, სავსე ვარ ღვინით, თამადა ამაირჩიეთ, ავამსო ლხინით“. წარწერა მწვანე საღებავით არის შესრულებული. მკვლევარების ვარაუდს, რომ წარწერა ფიროსმანის შესრულებული იყო, ისიც ამყარებდა, რომ ოზაანში მხატვრის დისშვილი იყო გათხოვილი. გადმოცემით, ფიროსმანი მას ხშირად სტუმრობდა.

როგორც სოფელ ოზაანის მაცხოვრებლებმა განაცხადეს, ორი წლის წინ, პარმენ ოზაშვილის სახლი ქვრივიშვილებმა 7 000 აშშ დოლარად იყიდეს და შენობა დაანგრიეს.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ლევან ბაღაშვილს!

გილოცავთ დაოჯახებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, გამრავლებას და კარიერულ წინსვლას. მუდამ ბედნიერი გვენახეთ თქვენს ახლადშექმნილ ოჯახთან ერთად.

პატივისცემით,
ზურაბ დათუკიშვილი, მირზაანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული;
მარინა სეხნიაშვილი, სპეციალისტი

გიორგი ხაჩიაშვილს!

ჩვენო საყვარელო გიორგი, გილოცავთ დაბადების დღეს. 19 მაისს შენ 25 წლის გახდები,უკვე დიდი ვაჟკაცი ხარ. ამ ხნის მანძილზე შენ შენი მონდომებითა და აქტიურობით ბევრი რამ შეძელი, მიუხედავად ყველაფრისა, ეცადე, რომ საინტერესო ცხოვრება გაგევლო. ჩვენ, შენი ოჯახი, მუდმივად ვზრუნავთ იმაზე, რომ შენს კაცთმოყვარე და სიყვარულით სავსე გულს მცირე სიხარულიც კი არ მოაკლდეს. გვინდა, ყოველთვის მხნედ და იმედიანად იყო. ძალიან, ძალიან გვიყვარხარ.ღმერთის წყალობა არ მოგკლებოდეს!

სიყვარულით, შენი ოჯახი.

* * *

გაზეთ შირაქის რედაქცია უერთდება ჩვენი ერთგული მკითხველის, გიორგი ხაჩიაშვილის დაბადების დღის მილოცვას. სულით მხნეობას და უამრავ წარმატებას გისურვებთ, გიორგი!

“შირაქელები”

მადლიერება

ასაკოვანი ხალხი ვართ მე და ჩემი მეუღლე ზურაბ მაჩაბლიშვილი. სოფელში გაზრდილ-დაბერებულებს, ნაჯაფარ-ნაამაგარ ადამიანებს. ხშირად გვექმნება ჯანმრთელობის პრობლემები. ამ დღეებშიც ძალიან ავად ვიყავი, ვირუსი შემხვდა და თან გავცივდი. ისე ჩამეკეტა ფილტვები და ისე მახველებდა, ვიფიქრე, აღსასრული მოვიდა–მეთქი. შევატყობინე ჩვენი სოფლის ექიმს ნათელა ბოსტოღანაშვილს. მაშინვე მოვიდა, გამსინჯა, დამინიშნა მკურნალობა, შემდგომ დღეებშიც ყურადღება არ მოუკლია, გამომაბრუნა, ფეხზე დამაყენა. ძალიან მადლიერი ვართ ჩემი ოჯახი ნათელა ექიმის. და არა მარტო ჩვენ. მთელი სოფელი კმაყოფილია მისი მუშაობით. კარგი სპეციალისტი, საუკეთესო ადამიანი – გულისხმიერი, ყურადღებიანი, დაუზარელი - ასე ახასიათებს მას მთელი სოფელი და მათ შორის მეც. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მადლობა გადავუხადო ექიმ ნათელა ბოსტოღანაშვილ-ნატროშვილს ჩემს ოჯახსა და სოფელზე გაწეული ზრუნვისათვის, ვუსურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება ოჯახთან ერთად, სიხარულით სავსე ყოფილიყოს მისი ცხოვრება, რათა თავადაც კმაყოფილს ჩვენზე ზრუნვა ეხალისებოდეს.

პატივისცემით,
ნორა მაჩაბლიშვილი
სოფელი არბოშიკი

. . . . . .

იყიდება!

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ:
571 55 99 51. იკითხეთ ლია. ფასი შეთანხმებით

ზემო მაჩხაანის წარმატებული სპორტსმენები

მიმდინარე წლის 27-28 აპრილს ქ. თბილისში ჩატარდა თბილისის რიგით მე-3 ღია ჩემპიონატი „უშუში“, სადაც მონაწილეობა მიიღო „სანდაში“ ზემო მაჩხაანის ორთაბრძოლების გუნდმა. გუნდი დაბრუნდა წარმატებებით. პირველი ადგილი დაიკავა სანდრო ნატროშვილმა 31-34 კგ-ში

მეორე ადგილი დაიკავა გიორგი ნატროშვილმა 40-44 კგ-ში
მეორე ადგილი დაიკავა დათო თარაშვილმა 48-52 კგ-ში
მეორე ადგილი დაიკავა ლუკა მარტყოფლიშვილმა 22-25 კგ-ში
მეორე ადგილი დაიკავა ომიკო ბიკაშვილმა 75-80კგ-ში
მესამე ადგილი დაიკავა ნოდარ ვარდიაშვილმა 22-25კგ-ში
მესამე ადგილი დაიკავა გელა ჩაფიძემ 37-40კგ- ში
მესამე ადგილი დაიკავა გიორგი ტოკლიკიშვილმა 31-34კგ-ში
მესამე ადგილი დაიკავა გიორგი პაპუაშვილმა55-60 კგ-ში
მესამე ადგილი დაიკავა სოსო ნატროშვილმა 25-28 კგ-ში

მწვრთნელი-გენადი ნატროშვილი, რომელმაც ვარჯიში დაიწყო გასული წლის სექტემბრიდან. ვარჯიშობდა 15 ბავშვი. აქედან ათმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა შეჯიბრში. ათივე ბავშვი დაბრუნდა სათანადო ადგილის დაკავებით. მიუხედავად დროის სიმცირისა ასეთი წარმატებები მოიპოვეს.

მივულოცოთ მწვრთნელს, გენადი ნატროშვილს და ბავშვებს მიღწეული წარმატება და ვუსურვუოთ უკეთესი შედეგები.

. . . . . .

ქართული ჭიდაობა

ქალაქ საგარეჯოში ჩატარდა ქართლ-კახეთის პირველობა ქართულ ჭიდაობაში 1998-99 წლებში დაბადებულთა შორის ჩემპიონები გახდნენ: 40კგ-ში ნიკა კობაიძე, 45კგ-ში ნიკა ზვიადაური, 50კგ-ში ბექა გაგაძე.

მესამე ადგილები დაიკავეს: 35კგ-ში გიორგი თინაშვილმა , 60კგ-ში გიორგი გუგენიშვილმა და მძიმე წონაში ლაშა პაპუაშვილმა.

გუნდი მოამზადა კახა წიკლაურმა და ვაჟა მოსულიშვილმა.

იყიდება!

სასწრაფოდ იყიდება ქალაქ დედოფლისწყაროში ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში - ,,ჯარის წყლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე , ორსართულიანი კაპიტალური ბინა კარგ მდგომარეობაში, ეზოთი, ბაღჩით, სათავსოებით, გარაჟით, უზრუნველყოფილი წყლით, ბუნებრივი აირით, ქით. დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით ტელეფონზე:592 78 53 42 იკითხეთ გელა.

ამინდი

დედოფლისწყარო

შაბათი 19.05		კვირა 20.05		ორშაბათი 21.05		სამშაბათი 22.05		ოთხშაბათი 23.05		ხუთშაბათი 24.05		პარასკევი 25.05	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
23°	15°	21°	16°	21°	15°	18°	16°	16°	15°	18°	15°	18°	15°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნინრა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მღებრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართია:
ქ. დედოფლისწყარო,
ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K